

რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩიგვრეთის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. პლაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის უასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების უასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერითი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტითი — 4 კაპ.

ესე საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქციაში (მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩიგვრეთის სახლში) მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

უასი ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა — 2 მან. და 50 კაპ.
ერთი თვისა — 1 მან.

მთელი წლის ეგზემპლარები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

პლაქს გარეშე მცხოვრებთათვის შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

ხელის-მოწერა უასი გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

საქართველო

უღრმეს ბრძოლა

„აქლემები წიკადენ და კოზაკი შუაში გამოსკულიტესო“ — ნათქვამია ანდაზად.

სწორედ ასეა, უუ. ნიკოლაძისა და შავკვაძის საქმე ბანკის შესახებ.

მართალია, ჩვენ არც ერთი და არც მეორე აქლემივით დიდად არ მიგვაჩნია და არც ბანკს ვსთვლით კოზაკად, მაგრამ მაინც ვინაურების ბრძოლა გარკვეულს ღონეს მიჰმატებს და ფრთებს გამოასხმს.

ამ გვირის შეხედულობისა ჰყოფილა ყოველთვის ჩვენი ხალხი. დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ორს მაგალითს ჩვენი ძველების ცხოვრებიდან:

იმერეთის მიფე სოლომონ პარევილი ავად გახდა; მის სანახავად დაპირა მისვლა ერთმა ძრიელმა, მაგრამ მოუსვენარმა თავადთაგანმა აბაშიძემ.

როდესაც მეფეს ეს მოახსენეს, თითქმის მამაკედავი აეთმყოფი წამოჯდა, ფეხს ჩაიკედა და დაუხედა მხიარულად სტუმარს. როდესაც სტუმარი წავიდა, მეფეს მოახსენეს ერთგულებმა:

— რათ გაიჭირვე საქმეო? და მან ეს ბრძანა:

— არ მინდოდა, რომ მტერს, უძლურად ვჩვენებოდო.

მეორე... როდესაც მეგრელები ქებას იტყვიან ბიორგი ჩიქოვანისას, რომელიც გადადიან სამეგრელოში და გამოთავარდა, სხვათა შორის, ამ ამბავსაც გიამბობენ ხოლმე: ხონთქარს ეშინოდა მისი და მარჯვე დროს ეძებდა, რომ დასცემოდა სამეგრელოს; მაგრამ ვერ ბედავდა, იცოდა ბიორგი ჩიქოვანის მხედართმთავრული ნიჭი! როდესაც ლოგინად დაეარდა ეს გმოჩენილი კაცი, ხონთქარმა შეიტყო და მეტათ გაიხარა; მაგრამ გ. რების გამოგზავნა მაინც ვერ გაბიდა: ვაი თუ იგონებდეს და ჩემი შეტყუება უნდოდეს

თავის სამთავროში! და მშვერავები გამოუგზავნენ, ვითომ და მოკითხვა შემართულია მეგობრული!... მთავარმა დაადგმეინა საეარძელი (კრესლო) თანჯარასთან ქაჯდა, პირში რამოდენიმე საფანტი ჩაიღია და ისე მიიღო ხვანთქარისაგან წარმოგზავნილი მოკითხვები.

როდესაც თათრებმა მთავრის მშვიდობა მოკითხეს, იმან დაახველა და მიართობა თანჯარასპირიდან გატყუარცნილი საფანტები მინას მოხვედენ და გაამტყუარეს. მათრებმა ერთმანეთს შეხედეს, ამოძუებული გაბრუნდენ სტამბოლისაკენ და ხვანთქარს მიუტანეს შემდეგი ანბავი:

— დიდებულო შადი შახო!... რაც თქვენ ფერხთა მტერის ჩვენმა ცოდვილმა თვალემა ნახა, მოგახსენებთ და ფირმანსაც ვითხოვთ, რომ არ შეგერისხოთ: შესახებ დადიანისა ვინც რამე მოგახსენათ, ის გიჟური ყოფილა!.. — მურჯი ისე კარგათ არის, რომ ფურთხით თანჯარების მინებს ამტერებს და თუ ხელი გაანძრია, ქვეყანას ამოაგდებს!.. ამ ამბავმა ისე იმოქმედა ხვანთქარზედ, რომ, როდესაც დადიანი მართლა მოკვდა, აღარ სჯეროდა და მაინც კიდევ ეშინოდა სამეგრელოში შემოსვლის.

ეს ამბავი მე მიტომ კი არ მომყავს, რომ მაინცა-და-მაინც ისტორიული სიმართლე არის-თქო. არა, მე მომწონს ამ შემთხვევაში ხალხის შეხედულობა, გინდა გამოგონილიც იყოს.

დღევანდელი ნიკოლაძისა და შავკვაძის ბაასი მე მესმის კარგათ, თუ

რისიც ბრალია; ვხედავ კარგათ ერთის ონსა და მეორეს ნაღველს; ვგებ ამ ნაღველში მეც მედვას ფეხი, მაგრამ რა გაეწყობა!

„ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დამშვიდდებაო.“

ხან-და-ხან მართალიც მაგნებელიც, თუ უღრმოთ და უადგილოთ გამოითქვა. — პირადობას არ უნდა სწირვიდეს კაცი საზოგადო საქმეს. პირადობა უნდა დაუმონოს საზოგადო კეთილს.

მოვიყვანოთ, მაგალითი: ესთქვათ, თრმა ერთი ხელობის კაცმა მისცეს ერთმანეთს ხელი, გაუყარეს კული კულში და მიიტანეს იერიში ვისმენდ. იმათ წინაწინვე გამოანგარიშებულნი აქესთ, რომ თუ მათმა მოპირადობამ იარალი იხმარა, მითი საზოგადო საქმეს წაახდენს და საზოგადო საყვედურს მიღებს და თუ იარალი არ იხმარა, მაშინ ისინი იარალიანთ გაეღენ უიარაღოსთან და დაამარცხებენ. ამით ორივე შემთხვევაში მოგებულნი დარჩებიან! ეს მართლა რომ ვარგი სტრატეგიული ხერხია. ძნელი მოსათმენია იმ მესამე პირისაგან, რომ დაუთმოს, იარალი არ ახმაროს და თავი შესწიროს; მაგრამ თუ კი საზოგადო კეთილი ჰსურს, უნდა პირველს მეორე არჩიოს.

ახლა თუ ამგვარი რამე არის შავკვაძისა და ნიკოლაძის მოქმედებაში, ძალიან კეთილი იქნება და პატიოსანი მათის მხრით, რომ საზოგადო საქმეს, ესე იგი ბანკს თავი დაანებონ და კერძოთ რამოდენიმე შუაკით გასამართლდენ. და თუ რამე მისთანა პირობებში ურევია მათს ან-

ფელტონი

ბაკრა-გამოქმარა

შესანიშნავი შემთხვევები მოხდენ ქვეყანაზე ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში. მინ იფიქრებდა, აბა, რომ ამ ჩვენს მოსვენებულ და მიძინებულ სტამბოლში, სადაც ამდენი საუკუნის განმავლობაში კანონიერი და შეურყეველი მმართველობა სუფევდა ხვანთქარისა, დღეს რევოლიუციის მოხდებოდა? რევოლიუცია ფრანკუზებისთვის და ჩვეულებათა, ამბობდნენ; ისინი მოუსვენარი და დაუდგომელი ხასიათის ხალხი არიანო, სხვაგან კი ყოველგან მშვიდობიანობა და კანონიერება სუფევსო. ერთი ენასოთ,

რევოლიუცია მოუხდენია ისეთ შემთხვევებს და უმოძრაო ხალხს, როგორც მალოები! რა ვიფიქროთ ამასზე?

რა ვიფიქროთ კიდევ იმ შემთხვევაზე, რომ რევოლიუცია მოუხდენია თვითონ მინისტრებს, თვითონ ევზირს და სამღვდლოების თავს, შეიპყრო-ისლამს!... მთავრის მინისტრები მისულან ხვანთქარის სასახლეში, კაი ძალი ჯარი თან წაუყვანიათ, შემოურტყამსთ ეს ჯარი სასახლის გარს და უთქვიათ ხვანთქარისთვის: „ხვანთქარი ეხლა შენი ძმის-წული ბრძანდებაო, ადექალიდე მცხედარი შენი, წარიყვანე ცოლნი შენი და ვიღოდე მშვიდობით დოლმა-ბახის სასახლისკენო!“

საწყალს ხვანთქარს განუზრახავს, ჩემი საქმე ცუდათ არის, ხალხს მიემართავ, რადგანც ჯარი რევოლიუციისკენ გადასულაო. რევოლიუციის მომხრენი იმოდნათ პატიოსანი ყოფილან, რომ როცა ხვანთქარს სიტყვა მოუთხოვნია, არ იქნება არ გეინდოა“ როდი დაუკჟინებიათ. ბრძანეთ, ინებეთო, უთქვამსთ ძელი ხვანთქარისთვის. მაგრამ ხვანთქარი აბა რა სიტყვას იტყოდა, მერე იმისთანა გაჭირების დროს. მთელი სიცოცხლე იმას სიჩუმეში და გაბერვაში გაუტარებია, და სიბერის დღეს რაღა ლაპარაკის სწავლის დრო იქნებოდა? უთქვამს ხალხისთვის ხვანთქარს: „შევიტყვე თქვენ რაღაც რევოლუციები გსურსთ, ცელილებებს თხოულობთო, ქრთამობას თქვენ-

თვის თავი მოუქულებია, მთავრობის უსამართლობას ერთგვ შემწეუხებიხართ, ფულს ბევრს გახდევინებენ, გარდასახადი მძიმე გადევსთ, სამართალი ფულით მოისყიდება, ერთი სიტყვით გაეგვე, რომ შეწუხებული ყოფილხართ; რასაც გნებავთ იმას დაეწესებ, რაც რევოლუცია გსურთ ყველას შემოვიღებ, დღის იქით სამართალსაც კარგს დაეწესებ და მთავრობასაც, ოღონდ კი ამ რევოლიუციას თავი დაანებეთ და მე ისევე ხვანთქართ დამტოვეთ!

გაონიშვი, რომლისგანაც მოკარავეთა მკაცრად დასჯის საზოგადო საქმისათვის, მაშინ შუა კაცებმა აღიქავეთ ამისი გამოკარავეთა: მაგრამ იმავე დროს მოხსნან იარაღი იმასაც, ვინც ოსტატურად ირჯება და ასწონან მისი წარსული მოქმედება, რომლის ბარობითაც ასტყდა ეს საზოგადო ბაასი.

საზოგადოების აღრჩევით აღსრულებდა. როგორც მწვერს ზემოხსენებულ სასამართლოსას თ. დ. მრისთავს 2,400 მანეთი ეძლეოდა წელიწადში ჯამაგირი, და როგორც ბანკის დირექტორს კი იმას ეძლეოდა წელიწადში — 1,800 მანეთი.

დღიური

ჩვენ შევიტყუეთ, რომ „მართული წიგნების გამოცემის“ ამ მოკლე ხანში უფ. იაკობ ბოგებაშვილის ახალი სახელმძღვანელო წიგნის გამოცემას აპირებენ, სახელად „დედა მანა“. ამ წიგნის გამოცემაში ფული 600 მან. გამოცემელთ უფ. სტ. ი. ზარაფოვა შესწირა და ამას გარდა თვითონ წიგნის შემდგენელს პრემიალ მისცა 200 მან.

შურიდამ გვატყობინებენ, რომ ვასული მისის თვის შუა სიცხებში იქ ისეთი საშინელი წვიმები ყოფილა, რომ მომსწრე კაცებს არ ახსოვთა; წყლები იმ ზომამდე გადიდებულან, რომ სოფლის ბოგირები წაუღია და გზები გაუფუჭებია. მხურგეთის ბაზარში ნიაღვარი ლუქებში შესულა და ბერი. საქონელი აგრეთვე გაუფუჭებია. ამ წვიმების შემდეგ თუფანაკება სიცხე დამდგარა, და ახლა ამი გან არის სოფლის ხალხი შეწუხებული.

შალაქში გავარდა ხმა, რომ მიერისში ჟიპი გაჩენილა. თუ ჩვენმა მმართველობამ ახლავე ჯეროვანი განკარგულება და ზომები არ იხმარა, შესძლებელია, რომ ეს საშინელი ჭირი ჩვენც გვეწვიოს და მერე გვიანდა იქნება.

იქიდამევი ძალიან ცუდს ამბობს გვერდნ მხურგეთის უზნის სასწავლებელზე. ისეთი სადგომი უჭირავს ამ სასწავლებელსაო, რომ არც ზამთარ და არც ზაფხულ უენებელად ყმაწვილებს იქ ყოფნა არ შეუძლიანთა. მრის ოთახს, რომელშიაც თითქმის ასი შაგირი სწავლობს მუდამ დღე, სამ არშინზე ნაკლები კედლები აქვსო, ყმაწვილებს სული უწუხდებათ და ხშირად აუღ ხდებიანო. თვითონ ამ სასწავლებლის ზედამხედველს კი, რომელსაც წელიწადში 1,500 მანეთადი ჯამაგირი ეძლეოდა, მშენიერად მორთული, ჩინებული, შალაქ ქერიანის სადგომი უჭირავს ამავე სახლის მეორე ეტაჟში.

ახალციხიდან გვერდნ, რომ იქიურ შალაქის გამგებობის წევრთა (ხმადანთა) ამორჩევა ამ თვის მის არის დანიშნული და კანდიდატები ახლავე ემზადებან და დიდ აგრიტაში არიანო. ჩვენი კორრესპონდენტი მხოლოდ ერთს ნატრულობს: რომ ქალაქმა არ ამორჩიოს ძველი დეპუტატები, რომელთაც ასე უწესოთ, უანგარიშოთ და უკანონოთ მიჰყავდათ ქალაქის საქმეებო.

ამ ამბის გამოცხადებით ვასრულებთ ექს მამის სურვილს, რომელიც გეთხოვს: „გამოაცხადეთ ეს ჩვენი შეილებს შევიწროება, იქნება ვნემ მიაქციოს ყურადღება ჩვენი შეილებს გაჭირებულ მდგომარეობასაო. სწავლა კარგი საქმეაო; მაგრამ, თუ სწავლის დროს, ჩვენი შეი-

ჩვენ გავიგეთ, რომ ერთი დირექტორთაგანი მუთისის მივად-პნაურობის საადგილ-მამულო ბანკისათ. დავით მრისთავი დაუთხოვნიათ საგლებო სასამართლოს მწვერობისაგან, რომლის თანამდებობასაც ის

ლები დაუძღვრდებიან, ჯან-მთელი ბას დაკარგვენ, არც ამისთანა სწავლა-განათლება გვინდაო.“

მგონია, საფუძველი აქვს მამას...

* *

მოზულეთის მოსამზღვრე ერთი გურულისაგან ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი: *ლიონს კიჟოტს*

„მს ერთი ხანი არის, რაც მოზულეთის ჰცხორებლბთაგან მოსვენებულნი არიან განაპირის გურულები; აღარ არის კაცის კვლა, არც ცარცვა და არც ქურდობა. სძინავთ ყველას სიამოვნებით, მუშაობენ ყოველგან და ყოველს დროს უშიშრად, რომ არ აწუხებდეს დიდი გეალვა.“

ამ მშვიდობიანობის მიზეზი არის, როგორც მიაძმო გუშინ იქაურმა კაცმა, ეს რომ, მალი-თაშის განკარგულებით, აჭარის ბეგი მოთალი არის რაოდენიმე ჯარით მოზულეთის სოფლებში: სოფ. აჭყვის თავიდან, მეარაიდგან და ლელვანიდან, რომელსაც განურჩევია ავი კაცი და კარგი, რაოდენიმე ცოლ-შვილით გაუგზავნია ბათუმში და იქ არიან ტუსოდდ.

„მე რომ ეს ჩვენი მშვიდობიანობა იათად არ დაუჯდებათ ქობულეთლებს: მოთალი-ბეგი აწუხებს მართალს ოჯახებსაც მისთვის, რომ რათ ფარადით მანე კაცებსო, აბ-ბევს მათ ჯარით, ფეხის გულში ჯოხის რტყმევით და გადასახდით დასაკმაყოფილებელად დაკარგული საქონლების პატრონებისთვის.“

მრთი სოფლიდან მეორეში გადადის, რომ ამნაირად განაჩიოს მრთლივ მოზულეთის კუთვნილი სოფლები, რომ დღეიდან აღარ იქმნეს ის ქურდობა და ავაზაკობა, რაც აქამომდე ყოფილა მათში.

„მიდიან გურულები მოთალი-ბეგთან შესახვეწნათ, ვისაც კი რამე დაჰკარგვია და თუ მონახვენ სად არის ან ვის ხელშია, სიჩქარით აკმაყოფილებენ პატრონებს; ვინც კი გაიგებს გურული კაცის ჩასვლას, იმას არცკი მიუშვებენ შესახვეწნათ,

ისრე ირიგებენ და აქედენ მომეტებულს.

„ამბობენ, მოთალი ბეგი ყველა ამ საქმეებს შერება მოზულეთის კამაკამის ხოჯიხუფინ-ბეგის მივდგირიძის შემწეობით და ეს მივდგირიძე ყოველთვის ყოფილა მანე კაცების მადენელი...“

„ბურიას კი სარგებლობას მოუტანს მოზულეთის გამარგვლა, მაგრამ თვითონ მოზულეთში კი რა ბოლო ექნება ამ გვარ სასტიკ და ულხერო მოქმედებას—ამაზე ვერას ვიტყვი.“

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 29 მაის

ამ თვის 22-ს განთადისას გაუჩინდა ცეცხლი თ. ალია ახზახის საძინეს და საბძელს, რომლებიც, ისე დაიწვენენ, რომ ორი ფიცარიცველარ მოარჩინეს. ამ ცეცხლისაგან აფხაზიშვილს, როგორც ამბობენ, სამას თუმნამდე ზიანი მოსვლია.

ამ დროს, როდისაც ცეცხლი გასჩენია, სოფ. ძოლაკიდან მომავლებულა ამ ხსენებული თავადის ვაჟი მანო, რომელსაც დაუნახავს თუ არა ცეცხლი თავანთ კალოსკენ, მაშინვე გაუქანებია ცხენი; კარებთან რომისულა, დაუნახავს გამოვარდელი სამი ტყე გადმობრუნებული კაცი, რომლებიც მაშინვე ეენახებში გადაცივივულან და ერთისთვის კი მენსწრო და ცხენი ზედ შეეყენებინა. ამას დაეყვირა ამხანაგებისთვის: „მიშველეთ, მომკლა!“ მეორე ამხანაგი გადმოშველებოდა, გაეძრო ხანჯალი და ცხენისთვის მკერდში ეთხლიშა და მკერდი შუაზედ გაეპო; ზედმჯღომის ფეხს ორი თითის დადებზედ აქვს აცდენილი ხანჯალი. ზახლებული ცხენი მაშინვე შინისკენ გამოქანებულა და ამით ცხენს მოერიჩინა ზედ მჯღომი სიკვდილისგან.

ამ საქმეზედ ჩამოვიდნენ დღეევი ნაჩლნაკი და გამოძიებელი, დიჭირეს ის სამი ავაზაკი და სადამოთი კიდევ გაისტუმრეს სიღნაღის საპრობილეში.

ბედნიერების დროს კი, თუნდ მთელი ხალხი შიმშილით და საციეთ კედებოდეს, ხვანთქრები მის გაჭირებებს ვერ იტყობენ, და იმ კაცებსაც სასტკაო სჯიან, ვინც ამ ხალხის გაჭირებებზე ხმას იღებენ. მარგი თავლის ამხილველი და გონების განმანათლებელი ყოფილა, თურმე, ხვანთქრებისთვის გაჭირებება და მათი სასახლების შემორტყმა...

სჯილს, ვინემ ის, რომელიც აბდულ-პაზის ბედათ შეხვდა. დილას ხვანთქარი ვიყო, მეფეთ-მეფე და დედა-მეფის მბრძანებელი, ხელში მთელი სამფო მეკავოს, ოცდა ათი მილიონი კაცის ბედი სულიან-ხორციანათ ხელში შეგაროს, და სადამოს სატუსალოში ჩამსიან, უძღვრი, უფლებას მოკლებული, დავარდნილი, ისე რომ ჩემივე ხსენების და ეფრუხების სამასხარო გავხდე! მიშ იმ დაცემას და იმ სიცოცხლეს.

ხალხს რომ ეს სიტყვა მოუხმენია ახლათ გამოცხადარი ორატორისა, ერთბაშთ დაუძახნია— „გვიანაა, გვიანაო!“ და მოხუცებული ხვანთქრისთვის რეველიუციონერებს მკლავებში ხელი გაუყრიათ, სატუსალოში წასაყვანათ.

მაგრამ ღმერთი — ეს ხომ ყველამ ვიცით—სამართლიანია. რაზედ იყო დამოკიდებული აბდულ-პაზის ძალა და სიმძლავრე? იმანვედ მხოლოდ, რომ ის მამი მისის მახმუდ მეორის შვილი იყო, და შემამომავლობით ხვანთქარი შეიქნა. რაკი იმას ის ღირსება მოაკლეს, რომელიც პირად მისი კი არ იყო, შთამომავლობით ხარგები ჰქონდა, მთელი მისი გავლენა

და ძლიერება ქთვის ბუშტივით დაიფუტა. იგივე ღირსება იმას თავისი პირადი ტკუით, გონებით, ტალანტით ან მამაცობით რომ შეეძინა, სატუსალოშიაც, ძალა-მოკლებული და ბორკილ-მებმული, ის მაინც ძლიერი და პატივ-საცემელი იქნებოდა. მაშინ რიცხვობით ძლიერება მისი დამტყვევებელისა სუსტი და უხვირო იქნებოდა შედარებით მის მარტივ ხნეობით ძალასთან. ბეერი პირის სატუსალოში ჩასმული, რომელიც ბორკილებში უფრო ძლიერნი არიან, ვინემ ათი და თხუთმეტი ბატალიონი რედიფისა. მს პირები ძლიერნი არიან თავანთ პირადი ღირსებით, ტკუით და ხნეობით, და რადგან შთამომავლობით ეს თვისებები იშვიათათ ერგება კაცს, უფრო იშვიათათ, ვინემ ხვანთქრის ტახტი, ამისგამო გასაკვირველი არ არის, რომ აბდულ-პაზის თავის სატუსალოში თავისი საკუთარი ხსენების სამასხაროთ გახდა.

ამბობენ, რომ სატუსალოში იმან თავი მოიკლაო. სხრამეტა ექიმი ამას ამტკიცებს თავისი მოწმობით. ქიქიმების მოწმობის ფასი ჩვენ ხომ კარგათ ვიცით, და ვინ იფიქრებს, რომ კაცმა, რომელმაც თექვსმეტი წლის განმავლობაში, როცა სრული ძალა ჰქონდა, ერთი ხერიანი საქმე და ერთი მაშალური მოქმედება ვერ ჩაიდინა, ვხლა, ამ ბოლოს დროს, გმირობა მოახერხა. მს ძნელი დასაჯერებელია, თუცა ყოველი მამაცი კაცისთვის სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი. მაგრამ, მეორე მხრით, ისეც საფიქრებელია: ვის ჰქონდა სარგებლობა აბდულ-პაზის სიკვდილში? მის რას დაუშლიდა თავის სასახლეში ეს სუსტი, უგაველნო და უხვირო მოხუცი? შუა გაუჭოიდა თუ გამგეობა ენებას მისცემდა მღელვარეობის მოხდენისას? სოცხალი, ის სასაცილო

უსპო ქვეყნები

საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული

რადგან ამისთანა ბოროტმოქმედება, განსაკუთრებით ამ სოფელში, იშვიათი არ არის, ამისთვის 24-სამაგვე თვეს შეკრიბა მთელი პარლანების საზოგადოება უფლის უფროსმა და სთხოვა იმათ, რომ გამოეჩინათ ის პირები, რომლებიც ამ საზოგადოებას დაუბრუნებელი საქმის მიმდევარი არიან. საზოგადოებამ ერთხმად წარმოასტკვა, რომ „არა რომელიმე ღონისძიებით არ შეგვიძლიან გამოვიჩინოთ ის პირები, რომლებიც ჩვენა გვეწამენ და გვიკლებენ, იმ მიზეზით, რომ ისინი რომ ციხიდან გამოუშვით, მთელ სოფელს დაინაფებენ. მხოლოდ რადგან ჩვენ ასე ვართ ამ დაწესებულ გვეყვარებულნი, იძულებულნი ვართ ეთქვით ყველაფერი მართალი და კაცს გამოვიჩინოთ ის მწველნიც, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ისინი ციხიდან აღარ გამოუშვით, თორე ჩვენ აქ აღარ გვედგომილება.“

მზრის უფროსმა სრული და ქვეშაირი სიტყვა მისცათ, რომ ისინი პარლანების ღრუბელს ვეღარ ნახავენ. ამ დროს გამოდგა ერთი და სიტყვა: „ბატონო ნაჩალიკო! თუკა მართალია მართო ვგენი არ ჩადან ამ საქმეებს, ამისათვის რომ მაგათ ახანაგები სხვანიც ბევრნი ჰყვანან, მაგრამ რადგან ვე ორნი გამოჩინით და თავგამოდებით გვეწოდნენ და გვიკლებდნენ, ამისათვის გთხოვთ მთელი საზოგადოება, ვე ორი კაცი საუკუნოთ დაკარგოთ და მოგვაშოროთ თავიდან, თორე ამაზე მეტი აღარ შეგვიძლია.“ მთელი საზოგადოება: „საუკუნოთ დაკარგოთ! ნუღარ მოვლენ აქ!“ უფლის უფროსმა მაშინვე განჩინება შეადგინა, რომ მელზედაც საზოგადოებამ ხელი მოაწერა. რიცხვით 410-ზე მეტმა და არა ნაკლებმა.

შემდეგ გამოიყვანეს ის პირნი, რომელთაც ამთვან ჰქონდათ სახლები დამწვარი და აღმოჩნდა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ის. პარლანების და ბაკურცხის დაუწვავთ ორმოცამდინ სახლი, სახლებიდან სხვადასხვა ნივთების მრტაცვას ხო რიცხვი

არა აქვს! როგორც ხალხის ჩვენებიდან სჩანს, ამ მაგნებელ ხალხს წელს უფრო გაბედვით უმოქმედნით და მომეტებული ზიანი მიუტიათ ხალხისთვის, ვიდრე იმ წარსულ ორ წელში.

თქვენ რას ფიქრობთ ამასზე? მანა ორ კაცს შაუძლიან ამოდენა ოინების ჩადენა და ისიც ესე აშკარად და გაბედვით? არა, ჩემის ჰაზრით, ამისთანა მძიმე საქმის დაწვება ორი კაცი-სათვის შეუძლებელია: აქ უნდა იყოს მთელი შაიკა. ამ შაიკას ცხო უნდა ყვანდეს თავის წინამძღოლი ან თავი. მსგენს არის უპირველესი კითხვები, რომლებსაც საფუძვლიანათ უნდა დააქვრდეს სასამართლო და პატიოსანის სენინდისით შეუდგეს გამოძიებას, რომ გამოიკვლიოს, არამთუ მართო იმ ორი კაცის მოქმედება, არამედ მთელი შაიკის და ამათი ატამანის გამოჩინას და მერე შეუდგეს ამთ მოქმედებების განხილვას. იმედია, რომ ამ საქმეს ფხ. ზღათ და გონიერულათ მოექცევა გამოძიება.

როდესაც რომ უკანასკნელი ქათმის ქურდობასაც ვერა ჰბედავს ერთი და ორი, თუ არ სამი და ოთხი, (ესეც შაიკაა), გჭვი არ არის, რომ ამისთანა მძიმე საქმეს, როგორც ცეცხლით დაწვა, რომელიც ერთისა და ორი კაცის სიკვდილთან უდრის, ძნელი გასაბედია ორი კაცისათვის, თუ არ შაიკა. ახლა ავიღოთ ამ მოქმედების მიზანი. ჩვენ ხო კარგათ ვიცით, რომ ქურდობის მიზანის არის, რომ ნაქურდალი ნივთით ისარგებლოს და თუ ღარიბია, კუჭი გაიძღოს; ყაჩაღისა—გაცარცოს ვინმე და იმ ნაცარცვით ისარგებლოს. ამ სახლის დამწველთ რაღა სარგებლობა აქვს, როდისაც ვიცით, რომ რაკი დაწვება იქიდან ვეღარც რასმე პატრონი ირგებს და ვეღაც სხვა? მაშასადამე აქ სუ სხვა მიზანი გამოდის. ეს მიზანი შეეხება ამ შაიკის ატამანს და არა ამ უკანასკნელს აგენტებს. როგორც სჩანს, ატამანის მიზანი ისა ყოფილა, რომ ამისთანა შეწუხებით

ხალხი ძალა - უნებურად დაიხლოვოს, მისცეს მათ დღიური შემწეობა და ამ გეგრათ მოიპოვოს ხალხის პატივი და ძალა, რომ ხალხზედ გამოჩენილი გაეღენა ჰქონდეს. მე მგონი, მკითხველი დამეთანხმება, რომ ამისთანა აზრის კაცს დიდი მომხრეები უნდა, თორე ერთი და ორი კაცი რას გააწყობს, მერევე ამოდენა ხანს! ამაში ეჭვი არ არის, რომ ეს ორი დაკერილი ღარიბი გლეხი-კაცი არიან, ცოლშვილის პატრონები სტყუედვოდნენ ამ ატამანის საჩუქრით და სწავედნენ სახლებს იმის ბძანებით. მაშასადამე პირველად დასატანჯი არის ამ შაიკის თავი, რომელიც საჩუქრით ატყუებს გლეხ-კაცს და აბრეყებს სახლის დაწვანედ, ბოლოს თითონ კი განზედა სდგება.

მე მგონი სასამართლოსთვის საძნელი არ უნდა იყოს, არც ამ შაიკის გამოჩენა და არც იმათი ატამანისა, რომლითაც ის მოანიჭებს აქაურ საზოგადოებას შვიდს და წყნარს ცხორებას. ამასთანავე ღირსნი არიან მადლობისა განსაკუთრებით პარლანების საზოგადოებისაგან თ. შანო აუზაზი, რომელმაც თავის ყმაწვილკაცობა არ დაზოგა და მართო მართო მამაცურად შეეჯახა სამ ყაჩაღს და დაატყო ნიშანი, რომელითაც იცნეს მეორე დღეს, და მეორედ თ. ილია ღვ. აუზაზი, რომელმაც თავგამოდებით დაიწყო ეს საქმე და იმედია, რომ შედეგაც სასარგებლო და სასიამოვნო იქნება საზოგადოებისთვის. მართლაც, თუ ამ შემოხსენებულებს ეს შემთხვევა არ მისცემოდათ, შენი მტერი, რომ მთელ სოფელზედ ზედ გადაივლიდნენ, როგორც აქამდის შერებოდნენ, და წინააღმდეგი და დამშლელიც აღარაინ ეყოლებოდათ! მისიც პირ-და-პირი მოვალეობაა, ისიც კი ამისთანა საქმეში არ ერევა და ღარიბმა კერძო პირებმა რაღა ქნან?

ბ. შ

იყო. მოკლული ის ბევრათ უფრო საშიში შეიქნა, ამიტომ რომ მისი სიკვდილი ახალ მთავრობას მოუხოცველ ჩირქს სდებს. მაგრამ, ისიც საფიქრებელია, იქნება ჩამოგდებული ხვანთქრის წარჩობა მსმალეთში ცოლდვით და ცუდ საქმეთ არც კი ითვლებოდეს.

როცა ხვანთქარი მიიცვალა (ან მიაცვალეს), მისი სკივრები განსნეს და შიგ სამასი მილიონი იპოვეს. ღმერთო ჩემო! სამასი მილიონი ნაღდი ფული ჰქონია ხვანთქარს, მაშინ, როცა მთელი მსმალეთის სახელმწიფოს მთელს დედა მიწაზე სამასი მანეთის ნღობა აღარ ჰქონდა. ხალხი გლათაკებული იყო, სახელმწიფოს მამულები დაყიდულები იყვნენ, ქვეყნის შემოსავალი ათი წლის წინეთ არიან გაქირავებული და იჯარით გაცემული მათი შემოსავალი დაფლანგული,

კრედიტი დახშული, წალი აუარებელი და გარდაუხდელი. მაცს ჰგონია, რომ ამ გაქირავებულს მდგომარეობაში ხვანთქარიც ისე იქირავებდა საქმეს, როგორც მისი ჯარი, მისი ხელქვეითები და მოსამსახურე პირები, მისი მუშები და სხვ., რომელნიც მთელ წლობით ჯამაგირსაც ვერ ღებულობდნენ. საიღამ საღ! ხვანთქარი თურმე სახელმწიფოს შემოსავალს სკივრებში შალავდა და ოქროს ფულათ აქცევდა; შესანახავათ თავის პირად საკუთრებად...

ამისთანა მაღალ-ადგილზე მდგარიყოს კაცი და გროვით სარგებლობის შეძენა ჰქონდეს სახეში, სირცხვილი ამზე მეტი ქვეყანაზედ კიდევ რამ იქნება! არა, რაც უნდა სთქვას კაცმა, სტამბოლში რევოლიუცია სასარგებლო რამ ყოფილა, ამ შემთხვევაში მაინც: ამისთანა საქაგელ სენს, ამისთანა ზნეობით დაცემას, თუ არა

რევოლიუცია, სხვა რამე კიდევ გამოაშუარავენდა, განა?

მაგარი ეს არის, რომ მსმალეთში ეხლა ბევრსა ჰგონათ, ვითომ ახალი ხვანთქარი მსმალეთს ალაღენსო. მეტი არაა ჩემი მტერი, იმან ვერაფერი ალაღინოს. ხვანთქარი ხვანთქარია, კარგი იყოს თუნდ ავი. მაივლის ათიოდე წელიწადი, და ეს ახალი ხვანთქარი იმნარივე უსამართლობას ჩაიდენს, იმნარივე თვალს დაუჭავს და გულხელს დაიკრებს, როგორც განსვენებულ აბდულ-აზიზი, იმნარივე დაიწყებს ხასების ცელას და ფულების გროვებსა, ხვანთქრის გასავალზე და მოქმედებაზე კონსტიტუციური ზედამხედველობა ექნება ამორჩეულს დეპუტატებსო, ამბობენ. მნახოთ, ენახოთ, რა იქნება, რა გამოვა რისაგან. ის კი შეუწყველათ მიგაჩნია ჩვენ, რომ თუ ეს

მსმალეთი. ბუშინწინ გამოსულს „ქვეყანაში“ შემდეგი ორი დეპუტა არის დაბეჭდილი, რომლიდაც ერთი რაგუზიღამ არის მიღებული და მეორე ზემოწინიღამ:

„ისეთი წყაროდამ, რომელიც რწმუნების ღირსია, ისმის, რომ ამ ხუთი დღის შემდეგ, სურბია და ჩერხოგორია მოქმედებას (ე. ი. ომიანობას) დაიწყებენ.“

„მსმალეთის მმართველობამ შოსთხოვა სერბიას, რომ თორე იარაღი დაჰყაროს და ახალი სულთანის სულთანად აღიაროს. სერბია თანახმა არ არის, რომ მსმალეთს ყოველწლიური ხარჯი აძლიოს.“

ამ ორი დეპუტეშიდამ შეგიძლიანთ გაიგოთ, რომ ომის საქმე ამ დღეებში გადაწყდება; უიქველად, სერბიამ ან უნდა გამოაცხადოს და დაიწყოს ომი ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში, ან არა.

ზაზეთებიდამ სჩანს, რომ ყველა სახელმწიფოები დიდ მზადებაში არიან. შევლა დღე-ღღეზე მოელის შეხებთქებას. ამ ჟამად მეროპის დიდი სახელმწიფოები სცილობენ, რომ მეროპაში ბრძოლა არ ატყდეს; საფრანგეთის რესპუბლიკის, გარეშე საქმეთა მინისტრმა გერცოგ დეკაზმა ნაციონალურ პრების ბიუჯეტის კომისიაში გამოაცხადა, რომ „საფრანგეთი სულობით არ არის გარეული ახლანდელს დიპლომატიურს განხეთქილებაშიო; ყოვლის ღონისძიებით ესცილობთ, რომ თანხმობა ჩამოეგდოთ მეროპის დიდ სახელმწიფოებს შუა და მშვიდობიანობა არ დაირღვეს. ახლანდელი საფრანგეთის მმართველობის ერთადერთი შეცადინეობა ის არის, რომ თავის შინაურული საქმეები მოათავსოს და საფრანგეთის კეთილ-დღეობა და დიდება შევიდრ საფუძველზე დაამყაროს.“

კონტროლი იქამდო არმიანწევს, რომ შეცდომის ან უსამართლობის გამოაშუარავენასთან შეეძლოს შემცდარი ან უსამართლო ხვანთქრის ნამ დე რლათ გარდაყენება ტახტიდამ, კანტროლი მასხრობა იქნება და საბრალო ხალხის თვალის ახვევა.

შინ იფიქრებდა, როცა მე ამას წინეთ სტამბოლში ვიყავი, რომ კაცი იქ კონსტიტუციას მოესწრებოდა!...
... ღმერთმა ჰქნას, რომ იქ ამ წესმა ფესვი მოიბას და იხვიროს. ჩვენთვის ეს იმით იქნება კარგი და გამოსადეგი, რომ ჩვენი ვაჭრები რომელნიც სტამბოლში ფართლის საყიდლათ დაიარებიან, მშვიდობიანათ მოივლიან სტამბოლს, ისე რომ იქ უსამართლობის და გლეჯის მსხვერპლათ არ შეიქნებიან.

ბ. სკანდელი

საზოგადოებრივი მართს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია სერბილამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი იწერება, რომ მთელს სერბიაში და განსაკუთრებით იმ მხრეთ, რომელიდაც ომის დაწყებას მოელონ, ახლა ომისათვის გაქცარებული მზადება არის; ყველა თოფ-იარაღის მკვთებელს ფაბრიკაში მუშაობენ და ამზადებენ ხაზინისაგან შეკვეთილს ახალს სისტემის თოფებს, ზარბაზნებს და სხვა სამხედრო იარაღებს; ციხეებს ამარებენ, ჯარები გამოჰყავთ და სხვ.

ამ კორრესპონდენტის სიტყვით, სერბიას ამჟამად დაუბრკოლებლიე შეუძლია, რომ 120—130 ათასი კაცი გამოიყვანოს ბრძოლის ველზე და თუ ძალიან გაუჭირდა საქმე, ასი ათასი კაცის მომატება შეუძლია. ამბობენ, რომ ამ ჯარის უფროსად გამოჩენილი რუსის ლენერალი ჩერნიავი დაუნიშნავს სერბიის მთავრობას.

ბოლგარია. თუმცა მსმალის ოფიციალურს გაზეთებში იწერებინ, რომ ბოლგარიის აჯანყება ჩვენმა ჯარებმა დაამთავრდა; მაგრამ, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებიდან სჩანს, ამ დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. ხალხი თან-და-თან იარაღს ღებულობს და გამოდის საბრძოლველად, რადგან იმედი აქვთ, რომ ეს უკანასკნელი ბრძოლა იქნება, მსმალეთის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის. მითონ ბოლგარიის ხალხს გარდა, ძალიან ბევრი სხვა სლავიანები და განსაკუთრებით რუსები არიან თურმე განდგომილების ბანაკში.

ბერცოგოფინილამაც აჯანყებულებისათვის სანუგეშო და კარგი ამბები მოდის. სხვათა შორის, სტარო ბრადიშიკილამ გამოგზავნილი დეპეშა გაზეთებში დაბეჭდილი, რომლიდაც ეტყობულობდო, რომ აჯანყებულებს, რომელთა მოთავედ პეტრე პარაგიორგიევიჩი და ილია შევიჩიარიან, სამაგალითოდ დაუმარცხებიათ მსმალის ჯარი; ამ ბრძოლაში 450 მსმალის მოუკლათ და 900 კაცი დაუტყვევებიათ, აჯანყებულების სარდ-

ლებს დატყვევებულები ავსტრიის მმართველობისთვის გაუგზავნიათ შესანახავად და თან შეუთვლიათ, რომ თუ მანდ არ შეინახავთ ამათ, ჩვენ არ შეგვიძლიან და იძულებული ვიქნებით ყველას თაყი გაეგდებინათ.

ბანსხალბანი

თვილისის სამაურალო

(4 პაროლის სახსოვრად)
 მრეწვის მედანზე, ჩიტაბოვის სახლებში. ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღეის 1 საათამდინ.
 მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჭუსი—ქალისა და ყმაწვილების ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიციევი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.
 ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.
 მ თ მ შ ა ბ ა თ ს: ლისიციევი—შინაგანი ავთმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავთმყოფობისათვის.
 ხ ტ შ ა ბ ა თ ს: ზარბაფსკი—ხორურგიული ავთმყოფ., ტელიაჭუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავთმყოფ. და მერმიშევი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.
 პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიციევი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.
 შ ა ბ ა ბ თ ს: მერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავთმყოფობისათვის.

LA VELOUTINE
 (ველუტინი)
 ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უშარლივი), ბისმუტით გაკეთებული.
 იეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.
 პანს ექერება და არა სჩანს.
 შ. ჭ ა ი — გ ა შ რ მ გ რ ნ ი.
pommade satin
 (ატლასის კომადა)
 ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკლება ხელის კანი, ვინც ამ კომადას ხმარობს.
 9, Rue de la Paix, Paris
 156—35

კავკასიის საზოგადოებრივი ინსტიტუტი
საზოგადოებრივი ღოზიბლი
 (მერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)
 შობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. სქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოზიბლი ტალში არის ცალკე (საიდუმლო). ოთახები თვეში 30-50 მანეთად.
 ჩჩევისათვის ავთმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფაქტორი მუქთად. ღოზიბლი მუქთად დღე დღის 8 საათიდან 9¹/₂-მდე დოქტორი პრემიევი და 9¹/₂-დან 11-მდე დოქტორი ანანოვი.
 მ რ შ ა ბ ა თ ბ ი თ, ო თ ხ შ ა ბ ა თ ბ ი თ და პ ა რ ა ს კ ე ვ ბ ი თ, დილის 11 საათიდან 12-მდე დოქტორი პობანუსი და მავკელერი.
 მ თ ხ შ ა ბ ა თ ბ ი თ, 12 საათიდან ჩჩევისათვის, ალბანუსისა, ანანოვისა და პრემიევისა.

საუკეთესო საშუალება
 თაგვების, ვირთაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
 რის ზეუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,
 იმპერატორის სასახლის მიჯარაღნი
 რომელსაც პრევილევია აქვს ბისაგან.
 პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოგკრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, კინკველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს მეროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.
 1872 წლის მოსკოვის პოლიტხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი
 ვერცხლის მედალი მიიღე და აგრეთვე მედლის გამოფენაზე 1873 წელსა.
 მ ა მ მ გ რ ნ ი პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ს.
 ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.
 პ რ ა ი ს - პ შ რ ა ნ ბ ი:
 წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, კინკველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რჩინის შხაპუნა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნის აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაახმენ. დაბერებული ხორცის (მახორის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.
 შ მ თ ა ვ რ ა ნ ი დ ე მ კ ა რ ი ს ო ფ ი ლ ი ს შ ი, დეორცოვის ქუჩაზე, პრწუტის ქარვასლაში; ლანკოს მუხიკის მალაზიაში; მ ლ ა დ ი კ ა ე ვ ა ზ შ ი, სეგალთან, ალექსანდროვისკის პროსპექტზე, ლებედვის სახლში; ს ტ ა ვ რ ო პ ო ლ შ ი — ტურილინკოსთან.
 ამ ქალაქებ გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე იხილეთ თვის საღებავი. 54—19



კა. გვა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საქალაქო გემები	ფოზტა	ბირჟა	მან. კაპ.	მ ა ზ ა ნ დ ა
მთელი	9 36	4 54			ა) შოთილამ მიდის:	ა) მ ფ ი ლ ი ს რ დ ა მ:	პეტერბურგი, 29 მაისს		მთელი, 3 თბ.თ.
მცხეთა			68	38	მდებისკენ — შაბათს დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, მუთასს, რუსეთს	პირი მანეთი ღირს:		პური შორაგლის ფთ.
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს — კვირამდით, დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 32 პენსი.	84	ჭერი ფუთი.
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) მდებისადამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და	პარიში 334 სანტიმი.	89	ბამბა მრეწვისა, ფუთი.
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.	ორშაბ. შაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლისფასი)	6	— ამერიკისა, ფუთი.
შვირილა			5 81	3 23	სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	100 25	ბაკენტილი ბამბა ფთ.
მუთასი	8 23		6 75	3 75	შოთილამ: I II III	მთელიისისა და შოთისკენ — ყო	მოგებინი(პირველისესხი)	203	მატული თუშური ფთ.
სამტრედია			7 73	4 29	სოხუმამდ. 4 3 1	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ	მოგებინი (მეორე სესხი)	201 75	— თარაქანისა ფთ.
აბ-სენაკი			8 57	4 76	ქერამდ. 20 50 15 50 5	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	ბირაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.
შოთი	11 44		9 75	5 42	ტაგაროვ. 34 27 8 60	— ოთხშაბ.	მთელ. საზნ. ბანკისა	94	ჭონი, ფუთი.
შოთი	8 40				მდებისადამ. 38 30 9 60	გ) ბ ო რ ი დ ა მ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88	ჭონის სანთელი ფუთი.
აბ-სენაკი			1 18	66	ტალეგრავი მ. კაპ	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%). . .	86 75	სტარინის სანთელი, ფ.
სამტრედია			2 61	14	მცხეთის მთელიისილამ:	გარდა.	აქციები:		ხორცი ძოხისა, ლიტ.
მუთასი	11 51		3 41	69	მუთასის, შოთი	დ) შ ო თ ი დ ა მ:	მდების სავაჭრო ბანკის	172	— ცხვრისა, ლიტრა.
შვირილა			3 98	21	ბორს, დუშეთს, სიღნაბს	ყოველგან ყოველ დღე, კვი	შოთი-მთელ. რკინ. გზის	139 50	სპირტი, ვედრო.
ბეჟათუბანი			5 33	29	როსტოვს მდების მოსკოვს	რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	530	შაქარი, ბროც. ფუთი.
ხაშური	5 41	1 65	8 43	24	პეტერბურგს, მარშავსა.	წიგნის გავზავნა რუსეთში	ქაქაზის და მერკურის.	168	— ფხვნილი ფუთი.
ბორი	7 23	3 67	3 64	9	მსმალეთში, შევიცარიაში	და სამზღვარ გარეთ;	პირე. საზღვევ. საზოგ.	665	შავი გრვალი ფუთი.
მცხეთა			9 85	4	იტალიაში და საფრანგეთში.	ლი წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.	253	ზეთი ქუნჯუთისა ფთ.
მთელი	10 16	7 24	9 75	5 42	ინგლისში.	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მკოლ 1/2 იმპერიალი.